№71, ნოემბერი, 2020

საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდეობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწრაფვიან!

ღმერთმა დალოცოს საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ–მასწავლებლები. ტექნიკური პერსონალი. სტუდენტი–ახალგაზრდობა და მათი მშობლები.

საქართველო – უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის აკადემიური ქალაქი – მსოფლიო ინტერნაციონალური კომიტეტის წევრი!

Internationaal Comité

Academic City of Rustavi (Georgia)

Is a member of Internationaal Comité

PANJSHERI ZALMAI
Chairman of I.C.

BELGIUM BRUSSELS
08.07.2020
No 14528

საქართველო - უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი და ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქი მალე თავისი არსებობის პირველ ათეულ წელიწადს აღნიშნავს, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ იგი, უკვე საკუთარი ხელწერის სასწავლო დაწესებულებაა, როგორც არაფორმალური პროფესიული განათლების ფლაგმანი საქართველოში, ეს კი განათლების ის ფორმაა, რომელსაც მეტი თავისუფლება აქვს და სრული ავტონომია, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე უცხოეთთან მიმართებაში, ამიტომაც პრეროგატივა ახლა საზღვარგარეთ საქართველო - უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტისა და ჩვენი აკადემიური ქალქის წარმომადგენლობების გახსნაა, ამ მიზნით გადადგმული ნაბიჯები კი საკმაოდ ეფექტური გახლავთ, ამასთან საქართველოს ოცდარვა ადმინისტრაციულ ერთეულში წარმატებით ფუნქციონირებს ჩვენი ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრები, განსაკუთრებით აღსანიშნავია: ანაკლიის, აბაშის, ქუთაისის, ოზურგეთის, თერჯოლის, ჭიათურის, ტყიბულის, გორის, თბილისის, რუსთავის, დმანისის, ბოლნისის, წალკის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, ახმეტის და სხვათა მიერ მომავალი თაობის პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი, არაფორმალური სწავლების სივრცეში, კი სასწავლო პროცესი თითქმის არ ხორციელდება, აქ ყველაფერი იმიტირებულია! გადასახადი კი... მიუხედავად ძალზე დაბალი გადასახადისა, მოწინავეთათვის სოლიდური სტიპენდიაა დაწესებული!

მიღებული გვაქვს „EUCEN“-ის საერთაშორისო საგანმანათლებლო ევრო აკრედიტაცია! ახლახანს, ბელგიის სამეფოში, ბრიუსელში, გაეცვნენ რა ჩვენი საქმიანობის, აკადემიური ქალაქის ძირითად მიმართულებებს, მსოფლიო ინტერნაციონალურმა კომიტეტმა, საქართველო - უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი და ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქი ორგანიზაციის ნამდვილ წევრად მიიღო, ინტერნაციონალური კომიტეტი, ბრიუსელში, გასული საუკუნის 50 – იანი წლებიდან არსებობს და მისი წევრობა მსოფლიოს ყველა კუთხიდან, ყველა ორგანიზაციისათვის დიდი პატივია ! საყურადღებო კი ისაა, რომ ამ კომიტეტის ძირითადი კრიტერიუმებია დამოუკიდებლობა, დემოკრატიული პრინციპები და ფასეულობები, რომლებსაც ევროპული ჰქვია – შენი, საკუთარის შენარჩუნებით! დიახ აქ კიდევ ერთხელ, შეიძლება გავისიგრძეგანოთ ჩვენი ინსტიტუტის სლოგანის ძირითადი კრედო: – „განათლება ევროპული – მენტალიტეტი ქართული! “

ყველას! ჩვენს სტუდენტს, მშობელს, აბიტურიენტს, პედაგოგს თუ ტექნიკურ მუშაკს – გილოცავთ ამ მსოფლიო მნიშვნელობის დაფასებას!

ახალი პროექტი

თავდაცვა და უსაფრთხოება

ქუთაისი

იმერეთის გული, ქუთაისი, ჩვენი, საქართველო - უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტისათვის, გულწრფელად თუ ვიტყვით, სტრატეგიული დანიშნულებისაა, თვითონ განსაჯეთ, საუნივერსიტეტო ქალაქში, ახალი საწავლო ცენტრის დაფუძნება, უდიდესი ძალისხმევის შედეგად და ადგილობრივი საგანმანათლებლო სისტემის მესვეურთა თანადგომით განხორციელდა, ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის ქალბატონ მაყვალა ქობულაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან არამარტო სალექციო - პრაქტიკული მუშაობა წარმართა უმაღლეს დონეზე, არამედ ახალგაზრდების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის, საინსტიტუტო პროექტებიც შემოგვთავაზა რომელსაც დღეს ჩვენი გაზეთის ფართო აუდიტორიას გავაცნობთ და აქვე ვიტოვებთ იმედს, რომ მსგავსი პროექტები საქართველო - უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სხვა სასწავლო ცენტრებშიც განხორციელდება:

პროექტის მიზანი:

* საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქუთაისის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის სტუდენტებში სამხედრო-პატრიოტული, სამშობლოს სიყვარულის და მისი დაცვისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით აღზრდა;

სტუდენტთა სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბება:

* საგზაო წესების დაცვის მიმართ;
* ქართული ჯარის პოპულარიზაციისა და პატრიოტული სულისკვეთების გაზრდა;

სტუდენტმა შეისწავლოს საკითხები, როგორიცაა:

* საგზაო ნიშნები, მონიშვნის ხაზები და მოძრაობის უსაფრთხოება:
* ქვეითის მოვალეობები;
* მგზავრის მოვალეობები;
* ველოსიპედი და უსაფრთხოება.

* პირველადი სამედიცინო დახმარება;
* ქართული ჯარის ისტორია;
* ქართული არმიის შეიარაღების მიმოხილვა;
* ცეცხლსასროლი იარაღის შესწავლა.

საუბრები:

* დიალოგი სტუდენტებთან საგზაო მოძრაობის წესების გააცნობისა და ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის თემაზე:

* თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი საჰაერო და საარტილერიო დაბომბვების, ასევე სტიქიური უბედურების დროს;
* თუ როგორ უნდა ჩაისახოს სამშობლოს დამცველის სული ახალგაზრდებში;

პროექტის ამოცანები:

* პატრიოტული სულისკვეთების ჩამოყალიბება, ჯარის საბრძოლო და გმირული ტრადიციებისადმი ერთგულების დანერგვა.
* საგზაო უსაფრთხოების განსაკუთრებული მნიშვნელობა თანამედროვე ცხოვრებაში. /მანქანების მატებამ ჩვენს ირგვლივ ადამიანს დამატებითი საზრუნავი და საფიქრალი გაუჩინა/.
* საგზაო შემთხვევების მიზეზი /ძირითადად არის სიჩქარის გადაჭარბება, მანქანის უყურადღებოდ ან ნასვამ მდგომარეობაში მართვა/;
* ახალგაზრდები სამხედრო ნაწილში დაათვალიერებენ რა ხდება იქ, გაეცნობიან ჯარისკაცურ ცხოვრებას.
* სტუდენტებს თანამედროვეობის იმ გმირებზე მოუყვებიან, რომლებიც ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ.

პროექტის განხორციელება:

* პროექტი ხორციელდება ოჯახის, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტისარაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრების საგანმანათლებლო ორგანიზაციების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, საზოგადოებრივი კავშირების გაერთიანებული ძალისხმევით;

* სამხედრო მოსამსახურეები სასწავლო ცენტრში ლექციებს წაიკითხავენ.

პროექტის შესაძლო აქტივობები:

* ინფორმაციის შეგროვება, ინტერვიუების აღება, დამუშავება, დახარისხება, ანალიზის, კომუნიკაციის, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება;
* კვლევა, დისკუსიები;

მოსალოდნელი შედეგები და უნარები:

შედეგები: შეისწავლიან საგზაო წესების, ნიშნების განსხვავებას, მათ პრაქტიკაში გამოყენებას. ფეხით ან ტრანსპორტით გადაადგილებისას მიღებულ ცოდნას სხვებსაც გაუზიარებენ;

უნარები: ახალგაზრდებს განუვითარდებათ დაკვირვების, ძიების, განსხვავების, თანამშრომლობის უნარი.

დამოკიდებულება:

* ახალგაზრდებს პასუხისმგებლობის გრძნობა გაუჩნდებათ, როგორც თავიანთი თავის მიმართ, აგრეთვე სხვების მიმართ;
* სტუდენტებს თავისუფალი დრო ექნებათ მიზანმიმართული, სასწავლო ცენტრი გახდება უფრო აქტიური;
* სარგებელია ისიც რომ წინაპართა კარგ საქმეებს გაიხსენებენ. გამოუმუშავდებათ კრიტიკული აზროვნების უნარი, გააცნობიერებენ ადამიანთა თანამშრომლობის აუცილებლობას, ჩაერთვებიან საზოგაოებრივ საქმიანობაში.

სარგებელი სხვებისთვის:

* სტუდენტები უკეთესად შეიცნობენ საკუთარ ღირსებებს და ისწავლიან მათ მიზანმიმართულ გამოყენებას ქვეყნის სასარგებლოდ;
* ჩამოუყალიბდებათ საკუთარი თავის რწმენა, სხვათა შესაძლებლობების შეფასების და აღიარების უნარი;

ჭიათურა

შავი ოქროს ქალაქიდან...

კომფორტული გარემო, მყუდრო აუდიტორიები, მაღალი პროფესიონალიზმი და ამ ფონზე ყოველწლიურად გაზრდილი სტუდენტების რიცხვი, ეს ის მცირე ჩამონათვალია, რაც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ქალაქ ჭიათურის სასწავლო ცენტრში სუფევს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამ სასწავლებლის დამაარსებელი აკადემიკოსი ბატონი გარი ჩაფიძეა, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა სწორედ ჩვენ ქალაქს უკავშირდება, ამიტომაც ვცდილობთ ვიყოთ მოტივირებული, შრომისმოყვარეები, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ დაკისრებულ მოვალეობას. ამის მაგალითია ჩვენი ცენტრის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი ქალბატონი თამარ ჩხეიძე, რომლის დამსახურებაა ის საქმიანი და მეგობრული კომუნიკაცია, რომელიც პედაგოგებსა და მოსწავლე-ახალგაზრდობას შორისაა. მოხარული ვარ, რომ აქ სამსახურით, ვემსახურები იმ საქმეს, რომელიც ძალიან მიყვარს, ვცდილობ დავიხარჯო ბოლომდე და გავუზიარო ის ცოდნა და გამოცდილება მომავალ თაობებს, რაც მე მივიღე წლების უკან სამედიცინო უნივერსიტეტში ჩემი ლექტორებისგან. განსაკუთრებით საამაყოა, როცა ჩვენთან კურსდამთავრებული სტუდენტები ჩვენსავე ქალაქში არიან დასაქმებული, რომლებიც მაღალი პროფესიონალიზმით და ენთუზიაზმით გამსჭვალულნი ემსახურებიან სხვადასხვა სააფთიაქო ქსელებს, დაცვის სამსახურებს, სკოლამდელი აღზრდა-განათლების დაწესებულებებს, თუ საბანკო საქმეებს. ახლა ოქტომბერია, ახალი სასწავლო წელი და ახალი ნაკადი... ბედნიერების, სიუხვის და სიხარულის მომტანი შემოდგომა... მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველას მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება, სიღაღე, ბედნიერ წელთა სიმრავლე, წინსვლა და წარმატებები დაგებედოთ, როგორც პირად ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში, ჩვენ ცენტრს კი ვუსურვებ მრავალი კვალიფიკაციური სტუდენტის აღზრდას, რომლებიც ღირსეულად მოემსახურება და გამოადგება, როგორც ჩვენს ქალაქს, ასევე სრულიად საქართველოს!

ნათია ლომიძე
ქ. ჭიათურის
სასწავლო ცენტრის პედაგოგი.

ოზურგეთი

ჩვეული ხარისხით

დიახ, სწორედ ჩვეული ხარისხით, წარმატებითა და ცოდნის მიღების სურვილით გამსჭვალულნი დაუბრუნდნენ აუდიოტორიებს ჩვენი, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.ოზურგეთის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის სტუდენტები, ხანგრძლივი,იძულებითი არდადეგების შემდეგ ჩვენს თითოეულ სტუდენტს, მათ მშობლებს, სასწავლო ცენტრის ყველა პედაგოგსა თუ ტექნიკურ მუშაკს გასიგრძეგანებული აქვს მსოფლიო პანდემიის რეალური საფრთხე, ამიტომაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების სრული დაცვით, ვახდენთ რეგულირებას სასწავლო ცენტრსა და მთელს პერიმეტრზე, რამეთუ ჩვენთვის მთავარია სასწავლო პროცესის ხარისხი.

მაკა ბრეგვაძე, ქ. ოზურგეთის სასწავლო ცენტრის
განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

მადლობა

ამ წერილს, ჩემი კარნახით, ჩვენი სათემო ორგანიზაცია „კოლორიტი 1991 - ის“ მოხუცთა სახლის თანამშრომელი ნაზიბროლა კაპანაძე წერს, დიდი ხანია მინდოდა მეთქვა ხმამაღლა ის, რაზეც ახლა მოგითხრობთ, უფრო მეტიც, მსურდა დამეწერა, მაგრამ... ორთავე თვალის ჩინი დაკარგული მაქვს, საერთოდ ვერაფერს ვხედავ, თუმცა ადამიანთა შეცნობისა და ეთიკურ - ესთეტიკური ქცევის იმუნიტეტი უფრო მეტად გამომიმუშავდა და ღვთის მადლით მივყვები ცხოვრების დინებას, იმ ცხოვრებისას, რომლის ფართო გზაზეც უამრავი კეთილი ადამიანები მხვდებიან, მათ შორისაა, ჩვენი დირექტორი, პროფესორი გარი ჩაფიძე, კაცი, რომელიც ყველა საკითხს ოპერატიულად ჭრის და ჭირსა და ლხინში, მუდამ ჩვენთანაა თავის თანამშრომლებთან ნაზიბროლა კაპანაძესთან, მარიამ მათიაშვილთან, თინათინ ქადაგიშვილთან, სვეტლანა ვედიაშკინასთან ერთად, ერთი ოჯახი გვაქვს მე და ჩემს მეგობარ მოხუც ბენეფიციარებს:კამო გოგოლაშვილს, ლალა კვიკვინიას, კლარა ოყუჯავას, ვერა ბოგდანოვას, გივი დათუკიშვილს, პავლე დუბროვს და სხვა... მოხუცთა სახლის გარეთაც არიან კეთილი ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეს გვიხანგრძლივებენ ასეთი კი განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ უდიდესი მეცენატი ბატონი თამაზ გველუკაშვილი! ჩვენს სისუფთავესა და გალამაზებაზე მუდმივად უსასყიდლოდ ზრუნავენ შევჩენკოს ქუჩა №3-ში მდებარე სილამაზის სალონ „ევას“ სტლისტები: ზურაბ დემეტრაშვილი და მარიკა ბეროძე!

დიდი მადლობა ყველას!

თემურ მაისურაძე,
მოხუცთა სახლის ბენიფიციარი 71 - წლის

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 27-99-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369

ინფორმაცია

სტუმრად მინისტრთან!

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობის გაცნობის მიზნით, სასწავლებლის რექტორი, პროფესორი გარი ჩაფიძე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს ბატონ მიხეილ ჩხენკელს შეხვდა, საუბარი ძირითადად არაფორმალურ პროფესიულ განათლებას და ქვემო ქართლში უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებას შეეხო, მინისტრი მოხიბლული დარჩა ჩვენი სტრუქტურული საქმიანობით და სურვილი გამოთქვა სტუმრობისა აკადემიურ ქალაქში.

თერჯოლა

სტუდენტის ფიცის მიღება

უკვე ტრადიციად იქცა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.თერჯოლის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრში სტუდენტთა ახალი კონტიგენტის მიღების საზეიმო ცერემონიალის ფარგლებში სტუდენტის ფიცის დადება, რომელსაც შემოდგომის ზეიმი აგვირგვინებს, პირველკურსელთა საექსკურსიო მსვლელობებით, ასე იყო მიმდინარე სასწავლო წელსაც, ჯერ რაჭას ვესტუმრეთ, შოვი და ნიკორწმინდა... სიყვარულის ჩანჩქერთან მცირე საკონცერტო პროგრამაც გავმართეთ პოეზიის, მუსიკისა და დისპუტის თნხლებით, რომელშიც სტუდენტებთან ერთად პედაგოგებიც იყვნენ ჩართულნი და მათმა აქტიურობამ განუმეორებელი ხიბლი შეჰმატა აღნიშნულ მსვლელობას, ანალოგიური შემართებით და ორგანიზებულობით ჩატარდა სასწავლო-შემოქმედებითი ექსკურსია მარშრუტით: – თერჯოლა-ჯვარი-ანანური-ბაზალეთი-თერჯოლა, რომელმაც ჭეშმარიტად უდიდესი ინტერესი გამოიწვია შემეცნებითი სრულფასოვნებით და სტუდენტთათვის ცოდნის გაღრმავების პლაცდარმად იქცა, დიახ სწავლის პარალელურად, ახალგაზრდების გართობა-დასვენების გონივრული პროგრამა, პროფესიული სწავლების ყოველდღიური ნაწილი უნდა გახდეს!

ეთერი ტურავა,
ქ. თერჯოლის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

„ფოთოლცვენა 2002“

ა(ა)იპ „კოლორიტი 1991“-ისა და „ფოთოლცვენა 2002 “-ის ბავშვთა დღის ცენტრები, კორონა ვირუსის პანდემიის გათვალისწინებით, დროებით დახურულია და ჩვენს ბენეფიციარებზე, დღის ცენტრის პედაგოგების მიერ, ხორციელდება დისტანციური საგანმანათლებლო-ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, ასევე მათ, ჩვენი დღის ცენტრის დანაზოგით, გადავცემთ კვების პროდუქტებს, ვულოცავთ დაბადების დღეებს და ვაწვდით ტკბილეულს, სხვადასხვა აქტივობებისათვის ფერად ფურცლებს, ფანქრებს, გასაფერადებელ რვეულებს და სხვა, გადავცემთ ყველა საჭირო ლიტერატურას (წიგნებს მათ ელექტრონულ ვერსიებს) ჩვენი აკადემიური ქალაქის ბიბლიოთეკიდან, ვახორციელებთ მათზე ფსიქო-ემოციურ მხარდაჭერას, მშობლებთან შეთანხმებით ვახდენთ ბავშვების დღის განრიგის დაგეგმვასა და საგანმანათლებლო განვითარებაზე მიმართულ აქტივობებში ჩართვას, ჩვენი ფსიქოლოგები, ინტენსიურად მუშაობენ ბენეფიციარ ბავშვთა ოჯახებში ძალადობის რისკის შემცირების პრევენციაზე, გვაქვს დღის ცენტრში რეგისტრირებული ყველა ბავშვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა, რომელიც შედგენილია ტელესკოლის პროგრამის გათვალისწინებით, ვმუშაობთ მათთან ინდივიდუალურად სხვადასხვა კომუნიკაციებით (ტელეფონი, კომპიუტერი, ინტერნეტი, მოკლე ტექსტური შეტყობინება და სხვა), თითოეულ ბავშვს მიეწოდება საგანმანათლებლო და განმავითარებელი მასალების პაკეტი, შინ სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვების დაცვას კიბერბულინგისგან და ასაკობრივად არასათანადო ინფორმაციისგან, ამისთვის მაქსიმალურად რეკომენდებულია,ბავშვებმა გამოიყენონ დისტანციური სწავლების რესურსები მშობლებთან ერთად ან მათი ზედამხედველობით, ასევე, პროცესში ჩართული პედაგოგები და მუშაკები მუშაობენ მსგავსი რისკების აღმოჩენასა და სათანადო რეაგირებაზე და ბავშვებისა და მშობლების ცნობიერების დონის ამაღლებაზე კიბერბულინგისა და მისი პრევენციის, მასზე რეაგირების მექანიზმებზე.

ბავშვებთან და მშობლებთან მუშაობისას მაქსიმალურად დაცულია ინფორმაციის კონფიდენციალურობა. განსაკუთრებით დაცულია სენსიტიური ინფორმაციის (მაგალითად ინტერნეტისა თუ სხვა რესურსების არ ქონის შესახებ) კონფიდენციალობა, რომელიც, შესაძლოა, დისკომფორტის, უხერხულობის, სირცხვილის შეგრძნებისა და ბულინგის (დაცინვის წყარო) გახდეს.

ჩვენი, ა(ა)იპ „კოლორიტი 1991“-ის და „ფოთოლცვენა 2002“-ის ბენეფიციარ ბვშვთა დღის ცენტრების მესვეურთა პრიორიტეტია, რომ მომავალმა თაობამ მაღალი სტანდარტებისა და კომუნიკაციების თანამედროვე მიღწევების გამოყენებით, ნებისმიერი რთული სიტუაციიდან შეძლოს გამოსავალის მოძებნა, ცოდნის დაუფლება და მისი რეალიზება.

რუსთავი

ღია კარის დღე

საქართველო - უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრში ახალი კონტიგენტის მიღებასთან დაკავშირებით ღია კარის დღე წინასწარ დადგენილი თარიღითა და რეგლამენტის სრული დაცვით წარიმართა, ერთი განსხვავებული დეტალით, ღია ცის ქვეშ, დისტანციისა და რეგულაციების სრული დაცვით...

– ეს დღე, განსაკუთრებული მღელვარებისა და სიამაყის დღეა! დღე, რომელიც გაძლევთ საშუალებას იყოთ პროფესიული ცოდნისკენ ორიენტირებული, დაეუფლოთ თქვენთვის სასურველ სპეციალობას და ჩვენთან გატარებული ყოველი დღით და ცოდნის ყოველდღიური ახალი დეტალების შესწავლით, კიდევ ერთხელ დარწმუნდეთ თქვენი არჩევანის სიზუსტეში, რთულია თვითდამკვიდრების პროცესი, მაგრამ ის ჩვენ და თქვენ, ერთად უმტკივნეულოდ უნდა გადავლახოთ მიღებული ცოდნის გამოყენებით! – აღნიშნა ინსტიტუტის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ ღია კარის დღეზე, რომელმაც ამ ღონისძიების ფარგლებში, რამოდენიმე კურსდამთავრებულს საზეიმო ვითარებაში გადასცა დიპლომები და გზა დაულოცა წარმატებებისკენ!

ღონისძიებამ ჩვეულ სტილში უმაღლეს დონეზე ჩაიარა...

წარმატების ფორმულა

თელავი

განსხვავებულად, მოკრძალებულად, მაგრამ მაინც ამაღლებულ დონეზე დაიწყო ახალი სასწავლო წელი საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.თელავის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრმა, წინასწარ შედგენილი გეგმით, სასწავლო ცხრილითა და დღევანდელობის რეალური ცხოვრებიდან გამომდინარე, მსოფლიოში მძვინვარე პანდემიის პირობების რეგულაციების სრული დაცვით! როგორც ცნობილია, ცენტრალიზებული წესით, შევიძინეთ დეზობარიერები, თერმოსკრინინგის აღჭურვილობა და სადეზინფექციო საშუალებები, რამეთუ სასწავლო პროცესის წყვეტა არ გვქონდეს, ვიცავთ დისტანციასა და შესაბამისი უწყებების ყველა მოთხოვნას! სასწავლო პროცესი კი ჩვეულ რიტმში მეცნიერულ დონეზე და საინტერესოდ მიმდინარეობს, სწორედ ამაშია ჩვენი წარმატების ფორმულა!

მაია მჭედლიშვილი,
ქ.თელავის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

„EUCEN“-ის საერთაშორისო საგანმანათლებლო ევრო აკრედიტაციის მფლობელი მსოფლიო ინტერნაციონალური კომიტეტის წევრი

საქართველო უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრები

აცხადებს მიღებას

IX და XII კლასდამთავრებულთათვის, ასევე მიღებიან X, XI, XII კლასის მოსწავლეები სწავლისაგან მოუწყვეტლად

არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდით

- კომპიუტერული ტექნოლოგიები
- დაცვა-პატრულირება
- გარემოს დაცვა
- შრომითი უსაფრთხოების დაცვა
- ბანკის ოპერატორი
- ფარმაცევტის თანაშემწე
- კბილის ტექნიკოსი
- ვეტერინარი
- ბაგა-ბაღის აღმზრდელი
- კორესპონდენტი
- გიდი, ტურიზმი

მისამართი:

ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №7
ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5 (აკადემიური ქალაქი)
ქ. ანაკლია, რუსთაველის ქუჩა №143ა
ქ. აბაშა, აღმაშენებლის ქუჩა №141
ქ. ოზურგეთი, კვაჭალათას ქუჩა №5
ქ. ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქუჩა №29
ქ. ტყიბული, კოსტავას ქუჩა №1
ქ. თერჯოლა, აღმაშენებლის ქუჩა №3
ქ. ჭიათურა, ყაზბეგის ქუჩა №6
ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა №36
ქ. დმანისი, 9 აპრილის ჩიხი №25
ქ. წალკა, რუსთაველის ქუჩა №68
ქ. ბოლნისი, აღმაშენებლის ქუჩა №58
ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქუჩა №6
ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა №6
ქ. ლაგოდეხი, ვაშლოვანის ქუჩა №2
ქ. თელავი, ალაზნის ქუჩა №71

კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სამეცნოვან დიპლომს!